

როგორ მოვემზადოთ ერთიანი  
ეროვნული გამოცდებისთვის

**გ ე ო გ რ ა ფ ი ა**

შეფასებისა და გამოცდების

ეროვნული ცენტრის

გეოგრაფიის ჯგუფი

თბილისი

2025

სსიპ - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული საგამოცდო კრებულები წარმოადგენს ცენტრის საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“.

სსიპ - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“ ვებ-გვერდის მომხმარებელს / ვიზიტორს აძლევს უფლებას იხილოს და ჩამოტვირთოს აღნიშნული კრებულები, რომლებსაც მხოლოდ საინფორმაციო დანიშნულება აქვს. დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით გავრცელება (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) სსიპ - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე. იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	4
დავალების ტიპების აღწერა.....	5-6
ტესტის დავალების ნიმუში.....	7-22
შეფასების სქემა.....	23-24

## შესავალი

კრებული შედგენილია მათთვის, ვინც 2025 წელს აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდას გეოგრაფიაში. კრებულში მოცემულია საგამოცდო პროგრამა, ტესტის დავალებათა აღწერილობა, 2024 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე გამოყენებული ტესტი დავალების ნიმუშები და შეფასების სქემა.

2025 წლის საგამოცდო პროგრამაში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები (იხ. საგამოცდო პროგრამა). ტესტის მაქსიმალური ქულაა - 59, ხოლო ტესტირებისთვის განკუთვნილი დრო - 2 საათი და 40 წუთი.

აბიტურიენტებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ თითოეული ტესტის დავალების ინსტრუქცია, მაქსიმალური სიზუსტით დაიცვან დავალებათა სწორად შესრულების ტექნიკური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დახმარებას გაგიწევთ 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის მომზადების პროცესში.

**საგამოცდო ტესტში არ გამეორდება კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.**

გ ი ს უ რ ვ ე ბ თ წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ს !

## დავალების ტიპების აღწერა

### დავალების I ტიპი

- კითხვა არჩევითი პასუხებით

**დავალების აღწერა** - დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

დავალების პირობა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, მოცემულია მოკლე ან მეტ-ნაკლებად ვრცელი შეკითხვა, მოკლე ტექსტი, ფოტო, სურათი, სქემა, გრაფიკი ან დიაგრამა, სხვადასხვა სახის რუკა ან რუკის ფრაგმენტი და ა.შ.

**დავალება ამოწმებს** - ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, რუკებისა და სხვა თვალსაჩინოების ანალიზის, სასწავლო რესურსების გამოყენების უნარს. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუშები მოცემულია 2024 წლის გეოგრაფიის გამოცდის ტესტის დავალებების მაგალითზე.

## დავალების II ტიპი

- **ღია დავალება**

**დავალების აღწერა** - დავალებაში მოცემულია სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია (ტექსტი, ფიზიკური რუკა, ტოპოგრაფიული რუკა, სურათი, ნახაზი, გრაფიკი, ცხრილი და სხვ.). მათი ანალიზის საფუძველზე აპლიკანტმა უნდა უპასუხოს მოცემულ კითხვებს. მოგეთხოვებათ მოცემული ინფორმაციის ტრანსფორმაცია (მაგ.: ცხრილის საშუალებით მოცემული ინფორმაციის გამოხატვა გრაფიკულად) და ანალიზი. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ ადგილზე (მაგ.: თუ დავალების პირობით მოთხოვნილი იქნება დიაგრამის ან გარფიკის აგება, მაშინ პასუხების ფურცელში მოცემული იქნება საკოორდინატო სისტემის მატრიცა, რომელზეც უნდა ააგოთ გრაფიკი/დიაგრამა).

**დავალება ამოწმებს** - ფაქტობრივი მასალის ცოდნის, ინფორმაციის გაგების, მისი ინტერპრეტაციის, სხვა და სხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების, დასკვნების, პროგნოზირების გაკეთებისა და არგუმენტაციის უნარს.

მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის, გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების კითხვისა და შედგენის, მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების, მათ შორის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, მოვლენათა და პროცესთა შედარების უნარს; კონკრეტული გეოგრაფიული ამოცანების გადაჭრის; საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების; ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების; პროცესებისა და მოვლენების შეფასების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.


რუკის კითხვას, რუკის ლეგენდის გამოყენებას, რუკის მეშვეობით ადგილზე ორიენტირებას, უმოკლესი ან ხელსაყრელი მარშრუტების განსაზღვრას; ადგილის დახასიათებას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლების დადგენა/განსაზღვრას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ინფორმაციის ანალიზს; რუკის მიხედვით კონკრეტული ამოცანების ამოხსნის უნარი. საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ნიმუშები მოცემულია 2024 წლის გეოგრაფიის გამოცდის ტესტის დავალებების მაგალითზე.

### ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.


(1) 4. ილუსტრაციაზე მოცემულია ე.წ. ქარის როზეტა / ვარდი, რომელზეც გამოსახულია დაბა ბიჭვინთაში გაბატონებული ქარების მიმართულებები, სიჩქარე და ხანგრძლივობა საათებში. ჩამოთვლილთაგან რომელი მიმართულების ქარი ხასიათდება ყველაზე მაღალი სიჩქარით?



- ა) ჩრდილოეთის;
- ბ) დასავლეთის;
- გ) ჩრდილო-დასავლეთის;
- დ) სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთის.







(1) 5. რომელი სტიქიური მოვლენის გავრცელების არეალებია დატანილი რუკაზე?




- ა) ტორნადოს;
- ბ) ვულკანური აქტივობის;
- გ) ცუნამის;
- დ) სეისმური აქტივობის.

(1) 11. რომელი გრაფიკი ასახავს ქვეყნის განვითარების დონისა და მიგრაციის მართებულ ურთიერთდამოკიდებულებას?



(1) 25. რომელი წერტილის აბსოლუტური სიმაღლეა უფრო ნაკლები?




- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

- **ღია დავალებები**


### **ინსტრუქცია**

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ინფორმაციას, რუკებს (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 28. დაასახელეთ ტბა, რომელიც ცენტრალური აფრიკის ოთხი სახელმწიფოს ფარგლებში მდებარეობდა და ზედაპირის ფართობით მსოფლიოს პირველ ხუთეულში შედიოდა. ტბის აღდგენისთვის დაგეგმილი პროექტები დროულად თუ არ განხორციელდა, XXI საუკუნის ბოლოს ის შესაძლოა საერთოდ გაქრეს.




(2) 31. გაანალიზეთ ინფორმაცია და განსაზღვრეთ, რა ტენდენცია ჩანს ილუსტრაციაზე და რით ახსნით თქვენს მიერ აღწერილ ტენდენციას?




(4) 32. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

რუკა.1.




რუკა.2.




გადასვლა დავალების:  
II გვერდზე

რუკა.3.



რუკა.4.



(1) 32.1. რა არის აღნიშნული რუკა 2-ზე ციფრებით?

- ა) სავანები;
- ბ) უდაბნოები;
- გ) სტეპები;
- დ) პრერიები.

(1) 32.2. ახსენით, რატომ არ არის ავსტრალიის კონტინენტზე თანამედროვე გამყინვარება?



(2) 32.3. დაასახელეთ ორი გეოგრაფიული ფაქტორი, რომელთა გამოც ატმოსფერული ნალექების ყველაზე მეტი რაოდენობა ავსტრალიის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოდის.

გადასვლა დავალების: I გვერდზე



**(9) 33. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:**


აფრიკის მოსახლეობა 2021 წელს 1 მილიარდ ადამიანს შეადგენდა<sup>2</sup>. დანარჩენ კონტინენტებთან შედარებით მოსახლეობის ზრდის ტემპი ყველაზე მაღალია. ბოლო 50 წლის განმავლობაში, სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა 39-დან 54 წლამდე. პროგნოზის მიხედვით, აფრიკის მოსახლეობა 2050 წლისთვის გაორმაგდება.




გადასვლა დავალების: [II გვერდზე](#), [III გვერდზე](#), [IV გვერდზე](#), [V გვერდზე](#), [VI გვერდზე](#)

<sup>2</sup> მონაცემი დამრგვალებულია.

**C.** კოვიდ-19-ის საწინააღმდეგოდ, სრულად ვაქცინირებულთა წილი მთლიან მოსახლეობაში (2021 წლის მდგომარეობით)




**D.** კოვიდ-19-ის საწინააღმდეგოდ ჩატარებულ ვაქცინაციათა განაწილება მოსახლეობაში შემოსავლების მიხედვით (100 კაცზე)




გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#), [III გვერდზე](#), [IV გვერდზე](#), [V გვერდზე](#), [VI გვერდზე](#)

**E.** უკრაინიდან და რუსეთიდან ხორბლის იმპორტზე დამოკიდებულება (2020 წელი)




**F.** მთლიან მოსახლეობაში ძირითად სანიტარულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გარეშე მყოფი მოსახლეობის წილი (2021 წელი)



გადასვლა დავალების: I გვერდზე, II გვერდზე, IV გვერდზე, V გვერდზე, VI გვერდზე

G.


განახლებადი ენერჯის წილი  
მთელ მოხმარებულ ენერჯიაში  
(2020 წელი)



H.

რუსეთის უკრაინაში შეჭრისადმი დამოკიდებულება  
ქვეყნების მიხედვით  
(2022 წლის მარტის მდგომარეობით)

1 გმობს შეჭრას      2 ნეიტრალური პოზიცია      3 პრორუსული პოზიცია



გადასვლა დავალების: I გვერდზე, II გვერდზე, III გვერდზე, V გვერდზე, VI გვერდზე

- (1) **33.1.** რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით რომელი მტკიცებაა მართებული?
- ა) რუსეთის ქმედება აფრიკის ყველა სახელმწიფომ დაგმო;
  - ბ) აფრიკის ყველა სახელმწიფო უკრაინის მხარდამჭერია;
  - გ) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა რუსეთის მხარდამჭერია;
  - დ) აფრიკის ერთადერთმა სახელმწიფომ დაუჭირა გაეროში მხარი რუსეთის ქმედებებს.
- (1) **33.2.** E დიაგრამის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად აფრიკის რომელი სახელმწიფოსთვის არის რუსეთ-უკრაინის ომი რისკის შემცველი?
- ა) სომალისთვის;
  - ბ) ეგვიპტისთვის;
  - გ) სუდანისთვის;
  - დ) ტანზანიისთვის.
- (1) **33.3.** Covid -19-ის საწინააღმდეგო სრული ვაქცინაცია აფრიკაში დაახლოებით რამდენმა მილიონმა ადამიანმა ჩაიტარა?
- ა) 80 მლნ.
  - ბ) 250 მლნ.
  - გ) 500 მლნ.
  - დ) 800 მლნ.
- (1) **33.4.** რის მიხედვით ეკავა მსოფლიოში აფრიკას 2020 წელს წამყვანი ადგილი?
- ა) მოსახლეობაში ვაქცინირებულ პირთა ხვედრითი წილით;
  - ბ) ენერგეტიკაში განახლებადი ენერჯის წილით;
  - გ) მოსახლეობაში ავტომობილებით მოგზაურთა წილით;
  - დ) სანიტარული პირობების მაღალი სტანდარტის დანერგვით.

(1) **33.5.** განახლებადი ენერჯის თვალსაზრისით, რომელი ენერჯო რესურსი გამოიყენება ყველაზე მეტად აფრიკაში?

ა) გეოთერმული;

ბ) ჰიდრო;

გ) ქარის;

დ) მიქცევა-მოქცევის.

(2) **33.6.** ავტომობილებით მოგზაურობასთან დაკავშირებით რა ტენდენციაა პროგნოზირებული აფრიკის კონტინენტისთვის? ახსენით, რა განაპირობებს პროგნოზირებულ ტენდენციას.

(2) **33.7.** რა ცვლილება მოხდა A ილუსტრაციის მიხედვით აფრიკის კონტინენტზე ბოლო 20 წლის განმავლობაში? ახსენით, რით იყო განპირობებული 2000 წელს არსებული მდგომარეობა.

გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#), [II გვერდზე](#), [III გვერდზე](#), [IV გვერდზე](#), [V გვერდზე](#)

დავალების #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
4	დ	1
5	ა	1
11	ბ	1
25	ბ	1
28	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული ტბა ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b> <i>ჩადის ტბა.</i></p>	1
31	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად აღწერილი ტენდენცია ფასდება 1 ქულით;</li> <li>• მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით;</li> </ul> <p>დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.</p> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ <i>კლებულობს შიდა წვის ძრავის ავტომობილების გაყიდვა და მატულობს მოთხოვნა ჰიბრიდებზე და ელექტრომობილებზე (1 ქ.);</i></li> <li>✓ <i>ელექტრომობილების მფლობელთათვის შეღავათების დაწესება პარკინგზე და სხვა ავტო-სერვისებზე (1 ქ.).</i></li> </ul>	2
32.1	ბ	1
32.2	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b> <i>რადგან ძირითადად ცხელ სარტყელში მდებარეობს და მაქსიმალური სიმაღლე ზღ.დ. 2200 მეტრს არ აღემატება. ამ განედებისთვის თოვლის ხაზი ზღ.დ. უფრო მაღლაა ვიდრე კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი.</i></p>	1

დავალების #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
32.3	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული თითოეული გეოგრაფიული ფაქტორით ფასდება 1 ქულით; დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.</li> </ul> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ რადგან აქ გაედინება აღმოსავლეთ-ავსტრალიის თბილი დინება (1 ქ.);</li> <li>✓ აქვე მდებარეობს დიდი წყალგამყოფი ქედის ყველაზე მაღალი ნაწილი (1 ქ.).</li> </ul>	2
33.1	დ	1
33.2	ა	1
33.3	ა	1
33.4	ბ	1
33.5	ბ	1
33.6	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული ტენდენცია ფასდება 1 ქულით;</li> <li>• პროგნოზირებული ტენდენციის გამომწვევი მიზეზის მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით; დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.</li> </ul> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ავტომობილებით მოგ ზაურთა წილი იზრდება (1 ქ.);</li> <li>✓ ეს განპირობებული იქნება საყოველთაო კეთილდღეობის ზრდით (1 ქ.).</li> </ul>	2
33.7	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად აღწერილი ცვლილება ფასდება 1 ქულით;</li> <li>• მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით; დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.</li> </ul> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ აფრიკის ეკონომიკაში დომინანტური პოზიციები დაიკავა ჩინეთმა (1 ქ.);</li> <li>✓ საფრანგეთის დომინირება განპირობებული იყო კოლონიალური წარსულით (1 ქ.).</li> </ul>	2